ანა კლდიაშვილი
გრუბინაშვილის სახ. ქართული
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

წეროს გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ მტკვარ არაქსის კულტურაში

(ქვაცხელების დიადემის მაგალითზე)

ნეული ინტერესის საგანს წარმოადგენს ქვაცხელების სამარეთანსე, №2 სამარხში აღმოჩენილი, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული, სპილენძის დიადემა, რომელიც თავზე ეკეთა აქ დაკრძალულ მანდილოსანს. უპირველეს ყოვლისა, ეს დიადემა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკალასნე ადრეული ფიგურული გამოსახულებებით შემკული ნივთია[1] (ნახ. 1, სურ. 1).

ქვაცხელების დიადემა დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა, თუმცა, არქეოლოგები და ეთნოგრაფები "ნოგალი სასიათის ნაშრომებში, ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, მას სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებენ ხოლმე.[2] საგანგებოდ ეხება ამ ნივთს არქეოლოგი ლ. ლლონტი თავის სტატიაში „წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელების სამარეთანსე" და მეტად საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს მის შესახებ.[3]

ალნე მნიშვნელოვანია, რომ ამ სამარხში ქალთან ერთად მამაკაციც იყო დაკრძალული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქალი უხვად იყო შემკული სამკაულებით, ხოლო მამაკაცი ინვენტარის გარეშე. პრაქტიკულად "ცარიელ-ტარიელი" იყო გასტუმრებული იმქვეყანას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიადემა ქალს რაღაცამდეც უკეთია ანე ისე, რომ გამოსახულებები თავდაყმა იყო მიქცეული.[4]

სპილენძისაგან[5] დამზადებული დიადემის ფირმა სპეციფიკურია: მისი სიმაღლე ცენტრში 4 სმ-ია, ხოლო კიდეებისაკენ 2 სმ-მდე მცირდება; მომრგვალებულ ბი-

---

[1] ძიგეთანებით, ვეთანბრისხ ათის ხანაში ლითონის ნივთების სიუჟეტური კომპოზიციებით შემკობა სისტემატურ სასიათს იღებს და ტრადიციად ნამოყალიბდება (ბრინჯაოს ვრავირებული სარტყლები, ცულები და სხვ.).

[2] მ. სიდაშელი, ხმეფრის სერთაო არქაულ საქართველოში, თბ., 2001; ი. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ეთნოლოგიის საკითხებთან, თბ., 2002; О. Лордкипанидзе, Наследие древней Грузии, Тб., 1989.

[3] ლ. ლლონტი, წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელების სამარეთანსე, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXXVI – B, თბ., 1982, გვ. 61-68. იგი ლეგალურად აღწერს თავად სამარხს, დაკრძალვის წესს, სამარხეულ ინვენტარს და საგანგებოდ სერდება დიადემაზე. ლ. ლლონტი ეხება დიადემის ორნამენტალურ მსარეს, ძალიან აღწერს ძალზე დაბალი გამოსახულებებს, გამოთქვამს მოსაზრებებს მათი სემანტიკის შესახებ და შედეგად გამოაქვს მეტად საინტერესო დასკვნა, რომ ამ დიადემით შემკული, ქვაცხელების №2 სამარხში დაკრძალული ქალი "ენდა ყოფილიყო ნაყოფიერების საგვარეულო ქალღმერთი". ამასთან ერთად, იგი დასძენს: "ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ხელი ექნებოდა საგვარეულოში ეკალასნე "ეურთოსს, წარჩინებულ პირიქნებას, ვეარში ეურთის ქალს – დიდ დედას".

[4] თავად ლ. ლლონტი ამ ფაქტს დასაყალაყების რიტუალით ხსნის, ალ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ დიადემის თავდაყრა მდებარეობა დაკრძალვისას ანქარებით შეიძლება აიხსნას. იხ. ლ. ლლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

[5] სპილენძის ოხელ ფირფიტის სისქე 0,5-0,7 მმ-ს შორის მერყეობს. დიადემის დიამეტრი დაახლოებით 14 სმ-ს შეადგენს. ეს უბრალო სპილენძი რიდია. რიგორც ქიმიერმა ანალიზმა დადასტურა, ეს არის შენადნობი, რომელშიც შედის სხვადასხვა მინარევი: 1,5% დარიშხანი, მცირე

ლოებში სამ-სამი ხვრელია გაკეთებული, რომლებშიც, როგორც ჩანს, თასმები იყო გაერილი და მათი საშუალებით შუბლზე შემორტყმული ფირფიტა კეფაზე იკერებოდა.

დიადემა საკმაოდ დაზიანებულია.[5] მაგრამ, საბედნიეროდ, მისი დეკორის სრულად წარმოდგენა მაინც ხერხდება. დიადემის მთელი არე სამმაგი ვერტიკალური და დამრეცი ხაზებით ხუთ არათანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი. ყველაზე დიდი ცენტრალური არეა,რომელიც დამრეცი სამმაგი ტეხილი ხაზებითაა შემოსაზღვრული ორივე მხრიდან და მასზე ყველაზე მარტივი გამოსახულება – წრეა დატანილი. მის ორსავე მხარეს თანაბრად და სიმეტრიულადაა განაწილებული ორ-ორი მონაკვეთი. ცენტრთან ახლოს მდებარე მონაკვეთებზე ხარკისებრი სიმეტრიის პრინციპით გამოსახულია დატოტვილრქიანი ორი ხარირემი. კიდურა მონაკვეთებზე კი, ასევე ხარკისებრი პრინციპით, განთავსებულია ორი წვრილი გამოსახულება, მათ უკან კი, დიადემის მიმრგვალებულ ბოლოებთან ახლოს, კიდევ ორი წრეა.

როგორც დაინახეთ,დიადემაზე სულ რამდენიმე გამოსახულებაა: სამი წრე და ირმებისა და წვროების თითო წყვილი. მხატვრული ენა უკიდურესად ლაკონიური, ძუნწი და,შეიძლება ითქვას,ეკონომიურია. პუნსიონებით დატანილი გამოსახულებები სქემატური და მარტივია,მაგრამ ძალზე მეტყველი და ინფორმაციული: ერთი ხაზით დატანილი კონტურით იმდენად ზუსტადაა გადმოცემული ირმის ფიგურა თუ წვრილის სხეული,რომ მათი იდენტიფიკაცია ხირთულეს სულაც არ წარმოადგენს. ამგვარად გამოსახული ფიგურები ჩართული არიან დიადემის საერთო დეკორის საკმაოდ რთულ,თუმცა მოწესრიგებულ ხუთნაწილიან სტრუქტურაში. ამგვარი სტილისტიკა ნათლად მიგვანიშნებს,რომ ეს მარტივი სქემატური გამოსახულებები არა მხოლოდ სამკაულია დიადემისა, არამედ მათ გარკვეული ნიშან-სიმბოლოს ფუნქციაც აკისრიათ. ნიშან-სიმბოლოები ხასიათდებიან ადრესამწყობიანი კულტურებისათვის და,მათ შორის,მტკვარ-არაქსის კულტურისთვისაც,რომელშიც ეს დიადემა შეიქმნა[6]. ერთი შეხედვისთანავე ცხადია, რომ ესაა ნივთი, რომელიც გამოსახულებათა რაოდენობის სიმკვრივის, ლაკონიურობისა და ე.წ. ეკონომიური მხატვრული ენის მიუხედავად,საკმაოდ დიდ დაშიფრულ-კოდირებულ ინფორმაციას შეიცავს ანუ მის მიღმა დგას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვრცელი "ტექსტი", რომლის ნაწილობრივ "წაკითხვასაც" ამჟამად წვრილის გამოსახულების მაგალითზე შეეცდებით.

უძველესი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, წვრილ გაზაფხულის, ანუ ბუნების განახლების, ხელახალი აღორძინების სიმბოლოა. ეგი ბუნების ზამთრის ძილისაგან (სიკვდილისაგან) გამოღვიძებისა და ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის მაუწყებელია. ამადაც სრულიად სამართლიანად უკავშირებენ მეცნიერები მას ნაყოფიერებას[7]. ამგვარად, ამ გამოსახულებაში უკვე ბუნების წლიური ციკლური წრებრუნვაა კოდირებული. მაგრამ აქ აუცილებლად გაგვიჩნდება კითხვა: რატომაა ბუნების განახლების სიმბოლო

რაოდენობით ტყვია, რკინა, ანთრაციტი, ვერცხლი და ოქრო. "ასეთი შემადგენლობის ლითონი კარგი მექანიკური თვისებებით ხასიათდება, და, როგორც ჩანს, საგანგებოდ არის მიღებული, რადგან მისგან უნდა დაეშვადებინათ თხელყირფიტოვანი ლენტი", რომელიც თავის დროზე მეტად დრეკადი იქნებოდა (იხ. ლ. ლლონტი,დასახ. ნაშრ. გვ. 65).

[6] ის ძლიერ კოროზირებულია, გატეხილია სამად, ალაგ-ალაგ ამოტეხილია, ნაპირებშემოტერეულია და ნაკლული.

[7] იხ. Б. Рыбаков, Религия и миропонимание первых земледельцев Юго-Зап. Европы (IV-III тыс. до н.э.). VII международный конгресс доисториков и протоисториков. Доклады и сообщения археологов, М., 1966, გვ. 107); Ш. ხიდაშელი, სამყაროს ხერეთი არქაულ..., გვ.61; Н. Урушадзе, Древнегрузинское пластическое искусство. Тб., 1988, გვ. 28.

[8] ლ. ლლონტი,დასახ. ნაშრ., გვ. 67.

სწორედ წერილი და არა მერცხალი, რომელიც, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ფრინველთა შორის გაზაფხულზე პირველი მოფრინავს და ამიტომაც სწორედ იგია მინნეული გაზაფხულის პირველ მაცნედ? როგორც ჩანს, აქ რადაც სხვა ლოგიკა უნდა ეკითხოთ და წერილს, როგორც სიმბოლოს, სხვა, უფრო ღრმა შრეებს უნდა ჩაეწედეთ.

არქაული სახე-ხატების მრავალშრიანობა ნეული მოელენია და როგორც მ. ელიადე ამბობს, მნიშვნელობათა სიმრავლე, რომელიც ერთსა და იმავე სახე-ხატსა თუ სიტყვას ენიჭება არქაულ კულტურებში, მიგვითითებს იმაზე, რომ მათი წარმომშობი ცნობიერება სამყაროს ორგანულ მთლიანობად წარმოისახავდა.[9] ჩვენ უნდა მოვეძიოთ და მოვახელთოთ ის მთლიანობა ამ სახე-ხატისა ანუ წეროსი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობებსა და შრეებს მოიცავს. ამ შემთხვევაში კი ყველაზე გამართლებული იქნება წეროს და მისი ცხოვრების წესის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა, რაც, რა თქმა უნდა, უძველესმა ადამიანმა ამ ფრინველზე უშუალო დაკვირვების შედეგად იცოდა.

წეროები მეხლსახსროვანთა ოჯახს ეკუთვნიან და ეს ოჯახი ოთხი რიგისაგან შედგება: ყარყატი, იბისი, ყანჩა და წერო. მათი ნეული გარემო თავთხელი წყალია – ტბა, მდინარე, ჭაობი, ტბორი. ისინი ცხოვრობენ ნაპირთან ახლოს, წყალში და აქ მოიპოვებენ საარსებო-საბადებელს. ეს ფრინველები მტაცებლები არიან[10], მაგრამ ამ ოჯახის ოთხ წევრს შორის მხოლოდ წერო არ ამჟღავნებს მტაცებლურ თვისებებს, ამ მხრივ კი განსაკუთრებით გამოირჩევა თეთრი წერო და სწორედ იგია უძველეს ხანაში თაყვანისცემის ობიექტი. ამავე დროს, წერო ერთადერთია ამ რიგის მტაცებლებს შორის, რომელიც მოფრენისას ადამიანის სიახლოვეს სახლდება; უფრო მეტიც, ხშირად წეროები ადამიანის საცხოვრებლის თავზე იკეთებენ ბუდეს და ეიველ გაზაფხულზე ერთსა და იმავე ადგილას ბრუნდებიან.[11] მთელი ამ მოკლე ინფორმაციიდან ნეენიეის საინტერესოა ორი ფაქტი:

1. ის რომ წერო ბინადრობს თავთხელ წყალში.

2. ის, რომ იგი ადამიანთან ახლოს იდებს ბინას.

თავდაპირველად პირველ საკითხს შევეხოთ. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წეროს საცხოვრებელი სიერცე დაბალი წყლის ზონა ანუ მეჩხერი წყალია. ეს ამ ოჯახის ოთხივე წევრს ერთნაირად ახასიათებს. წყალშია და ამავე დროს მიწას ანუ ფსკერს ეხება მისი ფეხები, წყალშია დროგამოშვებით ნისკარტიც, ხოლო მთელი სხეული ფრინველის ნეუულ სტიქიაში – პაერში რჩება. ამგვარად, წეროთა ოჯახი სამი სტიქიის – მიწის, წყლისა და პაერის "სლეარზე ბინადრობს. ეს ერთ-ერთი პირობაა იმისათვის, რომ უძველეს ადამიანს იგი გამოერჩია დანარჩენი ფრინველებისაგან, მაგრამ არსებობს სხვა პირობებიც. აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ფაქტი: წეროთა ოჯახის წარმომადგენლები ისეთ წყალსატევებთან ბინადრობენ (ტბა, მდინარე, ტბორი, ჭაობი და ა.შ. და არა "სლვის ან ოკეანის ნაპირას), რომლის ერთი ნაპირიდან შესაძლებელია ადამიანის მ'ხერა მეორეს მისწვდეს. ამგვარი წყალი მრავალი ხალხის მითოლოგიაში (თუ ყველაში არა) საკაროსა და საკითხად მოიაზრება (მდ. სტიქსი – ბერძნულ მითოლოგიაში, მიწისქვეშა ნილოსი და ათრეს ტბა – ეგვიპტურში, და ა.შ.). ამავე დროს, წყალი, და ძირითადად კი გამდინარე წყალი, ამ სამყაროებს შორის ინფორმაციის გადამტანად გვეველინება.[12]

---

[9] М. Элиаде. Очерки сравнительного религиоведения, М., 1999, გვ. 184.

[10] К.Кёниг. Брат Зверь. Человек и животные в мифах и эволюции. Калуга, 1997. გვ.121.

[11] К.Кёниг. დასახ. ნაშრ., გვ. 122.

[12] აღსანიშნავია, რომ განძები ეიველთვის სწორედ ამგვარი წყლის, ძირითადად კი მდინარის უკიდურეს ნაპირებზე იყო დაყრილი, ანუ ის ადგილას, სადაც შესაძლებელი იყო მისი წარგზავნა აქედან იქით. განძების შესახებ იხ. ოლორთქოფანიძე, "განძები" ,ადრეული ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა), ქრ. ალექსია. ნეოლითი-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 178-189.

ერთი სიტყვით, წერო, თავისი ბინადრობის ადგილის მიხედვით, ორ სამყაროს – საკაცისა და საქმის, საერთალურ და პროფანულ სივრცეებს შორის შუამავლად გვევლინება. მაგრამ რაში მდგომარეობს მისი შუამავლობა კონკრეტულად? სწორედ ეს არის მეტად საინტერესო. ამისათვის უძველესი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ნამოყალიბებული წყლის კიდევ ერთი ასპექტი უნდა განვიხილოთ. წყლის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე: წყალი წვიმის თუ სარწყავი, ბუნების ნაყოფიერების საწინდარია. იგი ერთნაირად სჭირდება მიწასაც და ყველა ცოცხალ არსებასაც დედამიწაზე, ის არის ნაყოფიერების საწინდარი. ეს აქსიომაა, რომელიც შესანიშნავად იცოდა უძველესმა ადამიანმა "..вода символизирует полную совокупность возможного, она есть fons et origo (источник и начало), средоточие всех потенций бытия".[13] წყლის ეს ყოვლისმომცველი განსაზღვრება მოიცავს წყლის, როგორც ხტიქიის კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან ასპექტს: წყალი ძველ კულტურებში ძალიან ხშირად მამაკაცის სპერმასთანაა გაიგივებული.[14] ამ თვალსაზრისის დამადასტურებლად მ. ელიადეს მოჰყავს შუმერული ენის მაგალითი, სადაც ხიტეა „ა" ერთდროულად წყალსაც ნიშნავს და სპერმასაც. ამავე დროს იგი ნასახეის ადმნიშვნელი ტერმინიცაა.

ამგვარად, სემოთქმულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა წყლის ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი წეროსთან მიმართებაში:

1. წყალი როგორც პროფანულ და საერთალურ სივრცეთა მაკავშირებელი ან პირიქით, გამმიჯნავი და წერო, რომელიც ამ მიჯნაზე ცხოვრობს და ამ სივრცეების შორის შუამავლად გვევლინება.

2. წყალი, როგორც გამანაყოფიერებელი ხტიქია, ადამიანთან მიმართებაში – სპერმა.

წყლის მეორე ასპექტი, ერთი შეხედვით, არანაირ კავშირში არ უნდა იყოს წეროსთან, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ მრავალი ხალხის მითოლოგიაში, განსაკუთრებით კი კერპების ხალხების რწმენა-წარმოდგენებში, წერო ან ტარეტი ბაკშეის დაბადებასთან არის დაკავშირებული[15] და რომ ნელი ბაკშვები ოჯახში გაზაფხულზე სწორედ ორი სამყაროს მიჯნაზე მცხოვრებ და ამ ორი სამყაროს მაკავშირებელ წეროებს მოჰყავთ, ამ შემთხვევაში წყლის ზემოხსენებული ასპექტის წინ წამოწევა წეროსთან მიმართებაში სრულიად მართებულად მოგვეჩვენება. გერმანიაში დღემდეა შემორჩენილი საბავშვო სიმღერა:

Аист, аист милый
Братца принеси мне,
Аист чудо-птица
Принеси сестрицу[16].

ასევე ეს დღესაც თვლიან, რომ თუ წეროს გაზაფხულზე მაია ხალხის ხახურაკზე გაიკვეთა ბუდე, მაშინ ამ ხახლში მცხოვრებ ოჯახში ცოტა ხანში აუცილებლად დაიბადება ბავშვი.[17]

გაზაფხულის ცაზე სამხრეთიდან მოფრენილი წეროების გამოჩენა უძველეს ხანაში მომავალი დედებისათვის ჯერ არშობილთა დაბადების ნიშანი იყო და წეროს

---

[13] M. Eliade. დასახ. ნაშრ., გვ. 184.

[14] იქვე.

[15] M. Gimbutas, The Goddesses and Gods of Old Europe. 6500-3500 B.C. Myths and Cult Images. Berkley, Los-Angeles, New-York, 1932, გვ. 135.

[16] K. Кёниг. დასახ. ნაშრ. გვ. 139.

[17] K. Кёниг. დასახ. ნაშრ. გვ. 140.

ნისკარტის ტაძარშიც ამის დადასტურება გახლდათ. გერმანიაში ახლაც, როდესაც გაზაფხულზე, წითელ პარასკევს ახალგაზრდები საგანგებო სახეობენ გამოდიან ქუჩაში, სწორედ წერის მიერ გამოცემული ხმის იმიტაციას ახდენენ[18].

ძველი ადამიანი თვლიდა, რომ სულეთის სამყაროდან „წამოსული", დასაბადებლად მზადმყოფი სულები გაზაფხულზე წვიმებს მოსულებოდნენ და იწყებოდა ქორწილების ხანა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველ დროში ადამიანის გამრავლებაც, ისევე როგორც ცხოველთა, ერთ ქრონოლოგიურ პრინციპს ექვემდებარებოდა და იმგვარად რეგულირდებოდა, რომ ნასახეა გაზაფხულზე ხდებოდა, ხოლო დაბადება კი ძირითადად „ზამთარში, შობის პერიოდზე მოდიოდა" (აკი ქრისტეშობაც ამ პერიოდზე მოდის).

ის, რომ თეთრი წერო ადამიანის საცხოვრებლის უშუალო სიახლოვეს, ანდა სულაც მასზე იკეთებს ბუდეს, კიდევ ერთხელ არწმუნებდა უძველეს ადამიანს წერის ქვეთალშობილურ მისიაში, იმაში, რომ წერო ეხმარებოდა სულებს ინკარნირებაში, განსხვავლების უშუალო ადგილთან მიახლოებაში ანუ იგი სულების გამცილებლის, მეგზურის ფუნქციას ასრულებდა (ლომი ჰირიქით, მიცვალებულის სულს აცილებდა აქედან იქით). ეს მითოლოგიური ხატი – წერო, რომელსაც ნისკარტით უჭირავს ქსოვილში გახვეული ნეკერი – დღესაც საკმაოდ გაერცელებულია დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა კი იგი დღევანდელ ადამიანს ფაქტობრივად აღარაფერს ეუბნება, მას იგი გულუბრყვილო და ზღაპრულ ხატად მიაჩნია, რადგან დაკარგულია მისი იდეური საფუძვლების ცოდნა.

წერის კაკაბი ბავშვის დაბადებასთან ქართულ მასალაშიც დასტურდება. სამცხე-ჯავახეთში, სოფ. მურჯახეთში იდგა ორი ქვის სვეტი, მენჰირი – ლალია და ძიქვა (ანუ რძის ქვა)[19]. ამ უკანასკნელთან მოდიოდნენ უშვილო ქალები და ის ქალები, რომლებსაც არ ჰქონდათ რძე, თან მიჰყავდათ შესაწირი – შაეი ქათამი, მტრედი, ბატანი და აქ ათენდნენ ღამეს. უშვილოობა ქვას კარაქს უსვამდნენ. ეს რიტუალები შვილოსნობასთან იყო დაკავშირებული. მენჰირი ძალის ადგილზე იდგმებოდა ანუ იქ, სადაც ძველი ადამიანის წარმოდგენით, სულელებს შორის კავშირის დამყარება იყო შესაძლებელი და ეფესიდან ითველებოდა, რომ ახალშობილები სულეთის სამყაროდან ანუ ერთ-ერთი სულელიდან მოდიოდნენ. სწორედ ამიტომაც მიდიოდნენ ძიქვასთან შვილოსნობის მაგიური რიტუალის ნასატარებლად უშვილო ქალები. აღსანიშნავია, რომ სოფ. განაში მდგარ მენჰირზე სწორედ მფრინავი წეროების წყვილია გამოსახული[20]. ამგვარად, წეროს ბავშვის დაბადებასთან კავშირი სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში და, მათ შორის, ქართულ მასალაშიც დასტურდება.

ამგვარად, ნეკერი წინარე მსჯელობის საფუძველზე აშკარად გამოიკვეთა წერის უშუალო კავშირი ადამიანის დაბადებასთან, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წეროები ქვაცხელების დიადემაზე მათთვის განკუთვნილ სეგმენტებში დამოუკიდებლად რიდი არიან წარმოდგენილნი; მათი გამოსახულებების უკან თითო წრეა დატანილი. ცხადია, ეს შემთხვევითი არაა, ამიტომაც ჯერ წრის მნიშვნელობას უნდა შეეხოთ და შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, როგორ იდეურ კავშირშია ეს ორი ნიშან-სიმბოლო ერთმანეთთან.

წრის სიმბოლიკა ძველ კულტურებში არც თუ ისე მრავალფეროვანია და

---

[18] R. Schteiner. Weihnachten in schicksalsschwerer Zeit. 21.12.1916, GA 173.

[19] აღსანიშნავია, რომ ეშაპები წყლის ძირას იდგმებოდა, ეფესიდან ეს ძალის ადგილად ითველებოდა. ის. М. Макалатия, Пережитки культа воды в Лечхуми. Тб., 1985.

[20] Н. Абакелия, Миф и ритуал в западной Грузии, Тб., 1991, გვ. 33.

[21] ა. კლდიაშვილი, ბ. ინაური, საქართველო I, გვ. 29, ილ. 60.

გარკვეული უნიკალურობით გამოირჩევა[22]. ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს სამყაროს მარადიულობის, მისი უსასრულო წრებრუნვის სიმბოლოს, რაც განვითარებული ციკლიზაციებისათვის (ეგვიპტე, შუამდინარეთი) არის დამახასიათებელი. მეორე მხრივ კი, უფრო ადრინდელ ეპოქებში იგი მზის ნიშანია.[23] ცნობილია, რომ წერტილით, ღრმულით, წრით უძველესი ადამიანი სწორედ მზეს გამოსახავდა[24]. როგორც უკვე ვიცით, ქვაცხელების დიადემაზე სამი წრე გვხვდება. ლ. ღლონტის აზრით, დიადემის ცენტრში გამოსახული წრე მართლაც მზეს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ორი (ანუ წროების უკან წარმოდგენილი) – ცისკრის ვარსკვლავსა და მთვარეს, ოღონდ რომელი რომელია ამას იგი თავის ნაშრომში არ აკონკრეტებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათი იდენტიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. სამივე წრე აბსოლუტურად იდენტურია ფორმითა და ზომით; ეს კი არ გვაძლევს საშუალებას ისინი სხვადასხვა ასტრალურ სხეულად ვიგულისხმოთ. თუ ამ ლოგიკას გაეცვებით, გამოდის, რომ დიადემაზე ერთდროულად სამი მზეა გამოსახული. რაც ერთი შეხედვით, ასევე აბსურდულად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ თვით დიადემას არ მოვწყვეტთ საკუთარ კონტექსტს, ამის ახსნა საკმაოდ მარტივად შეიძლება.

საერთოდ ადრესამიწათმოქმედო ტომების მიერ შექმნილ მატერიალური კულტურის ძეგლებზე და კონკრეტულად მტკვარ-არაქსის კულტურაშიც, აშკარაა ცაზე მბრუნავ მნათობთა, ციურ სხეულთა ასახვის ტენდენცია.[25] ამ კულტურაში არ არსებობდა „დამდგარ" მნათობთა, ციურ სხეულთა გამოსახულებები; პირიქით, ისინი ყოველთვის მოძრაობაში იყვნენ მოცემულნი[26]. ამ ეპოქის კერამიკულ ჭურჭელზე ყველთან ერთად იყო გავრცელებული ჯვრის წვეროებზე გამოსახული ოთხი სპირალი, რაც ირაკლი სურგულაძის აზრით, ოთხ მნათობს კი არ ასახავდა, არამედ – ერთი მნათობის ოთხ სხვადასხვა მდგომარეობას, რაც სრულიად სარწმუნოა[27]. ამ კულტურაში გავრცელებული ორი შეწყვილებული სპირალით შექმნილი ე.წ. სათვალისებრი კომპოზიციაც მზის ბრუნვას, მის ორ მდგომარეობას – ამოსვლასა და ჩასვლას – აღნიშნავდა, რაც მზის „სიკვდილისა" და ხელახალი „დაბადების" იდეას გულისხმობდა.[28] დიადემის შემთხვევაში კი სწორედ დამდგარი მნათობია ასახული, და თანაც სამჯერ, მისი ხილული ფორმით – წრით, რაც ერთი შესვლით წინააღმდეგობაში მოდის ეპოქის წამყვან ტენდენციასთან. მაგრამ თუ ვვენ ამ ნიეთს – დიადემას – ცალკე, დამოუკიდებლად კი არ განვიხილავთ, არამედ მისეულ ფუნქციისა და დანიშნულების კონტექსტში ჩავსვამთ, სულ სხვაგვარ სურათს მივიღებთ. იმ შემთხვევაში, როდესაც დიადემა მის მფლობელს რიტუალის შესრულებისას თავზე ექნებოდა გაკეთებული (ანუ ნიეთის უშუალო ფუნქციის განხორციელებისას), კიდურა „მზეები" უკან, კეფის არეში მოექცეოდა, ცენტრალური კი – შუბლზე და ამ წრეებს მხილველი ერთდროულად ვერაფრით დაინახავდა; ყოველმხრივ შემოვლისას კი თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე, თანმიმდევრულად, დროის გარკვეულ მონაკვეთში აღიქვამდა და ამ პროცესში მას რეალურად ექნებოდა მნათობის –

---

[22] კ. იუნგი "მაგიური წრის" მითოსურ პრეფიგურაციას "მანდალას" ეწოდებს. მისი აზრით, მანდალა ესაა მზის ბორბალი, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში თავად ბორბლის გამოგონებამდე უფრო ადრე განვლო. ის. K. Юнг, Душа и миф, с. 218; C. Jung, The Sacred of the Golden Flover. With a forward and comentary by C.G. Jung, N4, 1962. p. 7-108

[23] Н. Урушадзе, Изобразительная символика палеолита Грузии. Тб., 1989, გვ. 33.

[24] მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი.., გვ. 64.

[25] საერთოდაც მზის დაგვიმა, ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სიკვდილის ნიშნად იყო მიჩნეული. Н. Урушадзе, Изобразительная символика… Тб., 1989, გვ. 31-45.

[26] ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., გვ. 44-53.

[27] მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[28] ლ. ღლონტი, ც. დაველიანიძე, საკინძები ქვაცხელას ნამოსახლარიდან, კავკასია, ნეოლითი-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 96.

მზის – სამი მდგომარეობის განცდა: ამოსვლა, ზენიტი და ჩასვლა, ანუ დაბადება, სიცოცხლე და გარდაცვალება. და ყოველივე ამას ადამიანი დიადემის საშუალებით რეალურ წრეზე ბრუნვით აღიქვამდა. ამდენად, პროფანულ სივრცეში გათამაშდებოდა მზის ბრუნვის საკრალურ-მისტერიალური ციკლი. ამიტომაც გახდა შესაძლებელი ეპოქისათვის არატრადიციული ფორმის – დამდგარი მნათობის – გამოსახულების დაშვება დიადემის შემთხვევაში. აქ ფაქტობრივად არ ირღვევა პრინციპი, რადგან აქაც მნათობის ბრუნვაა ასახული, ოღონდ არა ერთი გამოსახულების ფარგლებში (როგორც ეს მტკვარ-არაქსული სპირალის შემთხვევაში ხდება), არამედ სამი დამოუკიდებელი გამოსახულების საშუალებით. ამგვარად, ერთი და იმავე ფორმის – წრის – სამგზის გამეორებით ამ შემთხვევაში ხაზგასმულია მზის ციკლურობის, უფრო უართოდ კი ასტრალური სამყაროს ციკლურობის იდეა.

ამგვარად, გამოდის, რომ წეროების უკან დიადემაზე მზეების გამოსახულებაა. აქ კი წამოიჭრება ახალი საკითხი: რა კავშირშია წერო მზესთან? წეროსა და მზის ნიშნის კავშირი მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალ ძეგლზე დასტურდება. ყველაზე ხშირად წერო ამ კულტურაში სპირალთან (ეოლუტებთან) ერთად გვხვდება. „ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილ მტკვარ-არაქსის ხანის თიხის ჭურჭელს ხშირად ამკობს ეოლუტების გამოსახულება და ზოგჯერ, მათთან ერთად, წვლის ფრინველისაც (წეროსი)"[29]. ეს მოტივები ძალზე მრავალფეროვანია. მაგ., თიხის ჭურჭელი დანგრეული გორადან, რომელზეც გამოსახულია ერთმანეთისაკენ პირით მიმართული ორი წერო და მათ შორის თავდადმა დაკიდებული ორი ეოლუტისებური ფორმა (ნახ. 2). გარდა ამისა, ეფიქრობთ, ნეკნთეის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს გამოსახულება, რომელზეც წეროს ნისკარტით უჭირავს ეოლუტი ანუ სპირალი (ნახ. 3). ამ გამოსახულების იდეის დასადგენად კელაე სპირალის სემანტიკას უნდა დაეუბრუნდეთ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სპირალი, განსაკუთრებით კი რიდესაც იგი შეწყვილებულია და სხვადასხვა მხარეს ბრუნავს, მზის ორ მდგომარეობას, მის ამოსვლასა და ჩასვლას ასახიერებს ანუ მზის ბრუნვა სპირალის ფორმით გადმოიცემა. ეს თუ ასეა, მაშინ რას უნდა ნიშნავდეს გამოსახულება – წერო, რომელსაც პირით სპირალი მოაქვს? წეროს მოაქვს მზე? გარკვეული თვალსაზრისით, ეინაიდან ეს ფრინველი გაზაფხულის მაუწყებელია, შესაძლოა, ეს გამოსახულება მართლაც დღის მატებაზე, მზის ნათების გახანგრძლივებაზე მიგვითითებდეს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი და, ალბათ, ყველაზე ზედაპირული შრე უნდა იყოს ამ გამოსახულებისა. მასში დაშიფრული კიდევ ერთი და ულრმესი შრის გახსნაში ერთი ძველი ქართული საწესო სიმღერა შეიძლება დაგვეხმაროს. ესაა ნეკნში დღესაც საკმაოდ გავრცელებული სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა".

როგორც ნ. აბაკელია შენიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ „მზე შინა და მზე გარეთას" ტექსტი ერთი შეხედვით მარტივია, მასში იდეათა მთელი კომპლექსია ჩამალული, რომელიც ქართველთა რელიგიური განცდის ულრმესი ფენის გამომხატველია."[30] ამ სიმღერასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის, რომ იგი სრულდებოდა ვაჟის შეძენის შემთხვევაში (და არავითარ შემთხვევაში ქალის) ანუ იგი დაკავშირებული იყო ე.წ. „ძეობის" რიტუალთან, რომელიც დამით სრულდებოდა[31].

პირველსავე სტროფში –"მზე შინა და მზე გარეთა", როგორც ნ. აბაკელია

---

[29] ნ. აბაკელია, ტელურიული და ხთონური თეოფანიები ქართულ მითოლოგიურ სისტემაში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, X, თბ., 2001, გვ. 177.

[30] Л. Гварамадзе, Грузинский танцевальный фольклор, თბ., 1987, გვ. 12.

[31] ნ. აბაკელია, ტელურიული და ხთონური..... გვ. 176.

შენიშნაეს,[12] მზის ორი მდგომარეობაა დაფიქსირებული – შინა და გარე[13]. ესაა ფორმულა, რომლის მიხედვითაც მზე პერიოდულად ხან შინაშია და ხან გარეშე ანუ ძველი ადამიანი ამ ფორმულით მზის მოძრაობას, ამოსელა-ჩასელას აღიქვამს როგორც შინადან გარეშე და, პირიქით, გარედან შინაში მუდმივ მოგზაურობას. მეორე სტროფი უკვე მზის შინაში უშუალო მოხმობას წარმოადგენს ("მზეე შინ შემოდიო"), მაგრამ აქ ჩნდება ერთი წინააღმდეგობა: თუ "მზე შინა და მზე გარეთა" კონსტანტაა, მუდმივი მოცემულობაა, მაშინ რაღა საჭიროა მზის ახლა დაეინებით მოხმობა? (ის ხომ ამ საწესო სიმღერის ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება). ხომ არ შეიძლება იყოს ეს გარკვეულწილად ძველთან, ანუ ვაეის დაბადებასთან რაიმე კავშირში?

საქმე ის გახლავთ, რომ მზე და მისი ამოსელა მითოლოგიურ დონეზე დაბადებასთანაა დაკავშირებული. უძველეს რელიგიებში მზე ყოველ დილით იბადება და ყოველ საღამოს კვდება. როგორც ჩანს, მზის დაბადება ანუ შინა სიერცეში შემოსელა აქ ადამიანის – ვაეის შინაში ანუ სხეულში შემოსელის ტოლფასია. მაგრამ როგორ შეიძლება მზე ადამიანში შემოეიდეს? აქ საინტერესოა, როგორ განიხილავდნენ მზეს ძველი ადამიანები. ქართულ ტრადიციაში მზეს „სამყაროს თვალს" უწოდებენ. ქართულ ტრადიციაში ასევე არსებობს ცნება „ოჯახის თვალი" და ამ ეპითეტით ამკობენ ნიჭიერებითა თუ სხვა რამ ნიშნით გამორჩეულ ოჯახის საუკეთესო წევრს. ანუ მზე (სამყაროს თვალი) მაკროკოსმოსში საუკეთესოს, გამორჩეულს წარმოადგენს თავისი თვისებების გამო: იგი მარადიულია და სამზეოსათვის ანუ ადამიანთა ერთობის შინასათვის, მასში მცხოვრები ყველა ცოცხალი არსებისათვის (მცენარე, ცხოველი, ადამიანი) სიცოცხლის მიმნიჭებელია. რა არის ამის ანალოგი ადამიანის მიკროკოსმოსში? მარადიული და სიცოცხლის მიმნიჭებელი გახლავთ სული. ანუ თუ მაკროკოსმიურ დონეზე ეს მიწოდება ასტრალურ სხეულს – მზეს ეხება, მიკროკოსმიურ დონეზე ანუ ადამიანის (ვაეის) დაბადებისას იგი მის სულს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მზის ამოსელა, შინაში შემოსელა – ადამიანის დაბადებას ანუ სხეულში სულის შემოსვლას უნდა ნიშნავდეს.

მზე – კოსმოსის ცენტრია, სული კი – ადამიანისა ანუ ყოველ ადამიანს საკუთარი მზე – სული – აქვს. ამ აზრს ადასტურებს ქართულ ენაში შემორჩენილი რამდენიმე გამოთქმა: „შენს მზეს ეფიცავ", „შენმა მზემ", „შენმა მზემან აქამომდე..." („ეეფხისტყაოსანი"). ყოველ ადამიანს თავისი მზე (ანუ თავისი წილი მზე) აქვნდა და ამ მზეს სწორედ მისი უკედავი ნაწილი ანუ მისი სული, ან სხეაგვარად მისი უმაღლესი, ბიწიერებისაგან სრულიად დაცლილი „მე" განასახიერებდა. ამდენად, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს მიმართ ამ გამოთქმას იეენებს, იგულისხმება, რომ იგი მის არსებაში საუკეთესოს, მის ყოველიეე ბიწიერისაგან განწმენდილ ნაწილს, მის სულს, მის უმაღლეს „მეს" მიმართავს ან მასვე იფიცებს. ამგვარად, აქედან ცხადი ხდება, რომ ამ სიმღერის ტექსტში მზის სახით ახალშობილის სულს, მის „მეს" მიმართავენ, რომელიც, მათი აზრით, დაბადებამდე "გარეში" ანუ ფიზიკური სამყაროს გარეთ, სულეთში იმყოფებოდა და ახლა საკუთარ "შინაში", კონკრეტულ სხეულში ანუ ფიზიკურ სამყაროში უნდა შემოეიდეს. აქედან შეიძლება გაეაკეთოთ დასკვნა, რომ ადამიანის სული, „მე" მისი მიკროკოსმოსის მზეა და თუ სპირალი მზის ბრუნვის ნიშანია, მაშინ გამოსახულება – წერო, რომელსაც ნისკარტით სპირალი უჭირავს, მართლაც განასახიერებს ამ ფრინველის მიერ ახალშობილის

---

[12] სამყაროს ორ სიერცობრივ ნაწილად – შინად და გარედ – დაყოფის შესახებ იხ. ი. სურგულაძე. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 36-57.

[13] ნაწილიანობის შესახებ იხ. В. Барлавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 111-114.

სულის იმქვეყნიდან ამქვეყანის, სულეთიდან სამზეოში შემოყვანის. ვფიქრობთ, მტკვარ-არაქსის კულტურაში ფართოდ გავრცელებულ ამ გამოსახულებაში სწორედ ეს იდეა უნდა იყოს კოდირებული. ასევე, ვფიქრობთ, რომ ქვაცხელების დიადემაზეც წერია, რომლის უკან წრე-მზეა გამოსახული, ამ იდეას უნდა გამოხატავდეს.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ ნიშნის სიმბოლოს – წეროს – რამდენიმე იდეური შრე:

1. წერო გაზაფხულის მაცნეა და ბუნების, მცენარეული საფარის აღორძინების მომასწავებელი და ამით იგი ბუნების ციკლურობაზე მიგვითითებს.

2. წერო ადამიანთა დაბადების მაცნეა, ადამიანთა სულების მეგზურია სულეთიდან სააქოსაკენ მომავალ გზაზე.

აქვე შეგვიძლია კიდევ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ: დიადემაზე დამოუკიდებლად გამოსახული სამი წრით, როგორც ზემოთ დავინახეთ, მზისა და, ალბათ, საზოგადოდ, ასტრალური სამყაროს ციკლურობაზე კვთდება აქცენტი, ანუ მზისა და მთელი ასტრალური სამყაროს კვდომა-დაბადებაზე, ხოლო წეროს საშუალებით – ბუნების ციკლურობაზე, მის კვდომა-განახლებაზე. და რადგან წერო წრე-მზესთან ერთად ხვვნს მიერ ზემოთ განხილულ კიდევ ერთ ობიექტს – ადამიანის დაბადებას – მოიცავს, ხომ არ მიგვანიშნებს იგი თავად ადამიანის მუდმივ კვდომა-განახლებაზეც? ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ გამოსახულებათა საშუალებით ხომ არ არის აქ კოდირებული ადამიანის ხელახალი დაბადების იდეა, რომელიც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ძველ სამყაროში (ეგვიპტეში, შუამდინარეთში, წინა აზიასა და საბერძნეთში)? ამ კითხვაზე პასუხის სრულყოფილად გაცემა მხოლოდ დიადემის კიდევ ერთი გამოსახულების, ირმის სემანტიკის გაანალიზებისა და დიადემის დანარჩენ გამოსახულებებთან მისი მიმართების გარკვევის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რაც ცალკე განხილვას მოითხოვს.

Resume

Ana Kldiashvili

To the Symbolic Meaning of a Stork in Mtkvar-Arax Culture
(on an Example of a Diadem from Kvatskhelebi)

The article is concerned with the bronze diadem of the III Mill. B.C., discovered in Kvatskhelebi, which was worn by a lady buried in one of the tombs. First and foremost, significance of this diadem lies in the fact that this is the earliest artefact with figure images unearthed in Georgia. The diadem bears several images: three circles, a pair of deers and a pair of storks. These are sign-symbols, containing a vast encoded text. Among these sign-symbols, the stork is a symbol of renewed Nature, of the revival, but, besides, it seems to be connected with the birth of men. In the culture of many peoples, the stork is a herald of a baby birth, it is a companion of the human souls on their way from the realm of souls to the world. This is the meaning, which the image bears on the diadem from Kvatskhelebi, since here the storks are paired with the images of the sun. As confirmed by the analysis of various sources (linguistic and folklore), on the microcosmic plane, the sun was identified with the human soul.

Thus, image of the stork on the diadem from Kvatskhelebi might, on the one hand, indicate the death and renewal of Nature and, on the other, to the idea of the bodily revival of men, their re-birth.



ნახ. 1, სურ. 1. დიადემა ქვაცხელლების სამაროვანიდან



ნახ. 2. დანგრეული გორა



ნახ. 3. წერო მზით ნისკარტში